# ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ჟურნალის დაარსების, გამოცემის და უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების წესი

1. ეს წესი არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ჟურნალის დაარსების, გამოცემის და უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების პროცესს.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევითი ინსტიტუტების, ცენტრების და ფაკულტეტების/სკოლების ინიცირებით სამეცნიერო ჟურნალის დაარსებას, გამოცემას და მისთვის უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭებას.

3. უნივერსიტეტის მიერ დაარსებული და გამოცემული სამეცნიერო ჟურნალი შეიძლება იყოს რეფერირებადი, ან საერთაშორისო რეფერირებადი. რეფერირებადია სამეცნიერო ჟურნალი, თუ იგი გადის რეფერირებას ქვეყნის შიგნით. ასეთი ჟურნალი შეიძლება ასევე გადიოდეს საერთაშორისო რეფერირებას. საერთაშორისოა რეფერირებადი ჟურნალი, თუ მასში ქვეყნდება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ავტორების ორიგინალური სამეცნიერო სტატიები და უზრუნველყოფილია სტატიების საერთაშორისო რეფერირება.

4. რეფერირებადი და საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ დარგის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

5. რეფერირებად და საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალს უნდა ჰქონდეს:
   ა) ნათლად ჩამოყალიბებული მისია, განსაზღვრული თემატიკა და მიზნები;
   ბ) სტატიების შერჩევისა და რეფერირების პროცედურები, მათ შორის სტატიის რეცენზირების კრიტერიუმები;
   გ) განსაზღვრული გამოცემის პერიოდულობა;
   დ)განსაზღვრული რედკოლეგიის საბჭოს შემადგენლობა, რომელშიც უნდა შედიოდნენ დარგის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები;
   ე) სტატიების გაფორმებისა და წარმოდგენის წესი, რომელიც შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მოთხოვნებთან ან დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე - შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან;
   ვ) რეცენზენტების შერჩევის კრიტერიუმები;
   ზ)სტატიების პლაგიატზე შემოწმების პროცედურები.

6. სამეცნიერო ჟურნალს უნდა ჰქონდეს ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იქნება ჟურნალთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და ჟურნალის ნომრები (სრულ სტატიებზე ან აბსტრაქტებზე ღია წვდომით) .

7. სამეცნიერო ჟურნალის გამოცემისას დაცული უნდა იყოს ჟურნალის გამოცემის პერიოდულობა.

8. გამოსაქვეყნებლად წარდგენილი სტატია უნდა გადიოდეს ორმხრივ ბრმა რეცენზირებას მინიმუმ ორი რეცენზენტის მიერ.

9. ქართულ ენაზე გამოსაქვეყნებლად მიღებულ სტატიას უნდა ერთვოდეს ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, რომელიც შეადგენს სტატიის საერთო მოცულობის არანაკლებ ერთ მეოთხედს.

8[1] ინგლისურის გარდა სხვა ევროპულ ენაზე გამოსაქვეყნებლად მიღებულ სტატიას უნდა ახლდეს

ვრცელი რეზიუმე, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე.

10. სამეცნიერო რეფერირებადი და/ან საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის დაარსებისა და მისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების მიზნით, აკადემიურ საბჭოზე განსახილველად უნდა იყოს წარდგენილი შემდეგი მასალა:
    ა) შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის, კვლევითი ინსტიტუტის ან ცენტრის წარდგინება (წარდგინებას უნდა ერთვოდეს შესაბამისი ერთეულის საბჭოს გადაწყვეტილება ჟურნალის დაარსების შესახებ);
    ბ) გადაწყვეტილება ჟურნალის დაფუძნების შესახებ;
    გ) ამ წესის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დამადასტურებელი მასალები;
    დ) რედკოლეგიის წევრების CV.

11. წარმოდგენილი მასალა დასკვნის მოსამზადებლად ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ადგენს მასალის შესაბამისობას ამ წესში განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ჟურნალის დაარსებისა და მისთვის უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების თაობაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

12. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტატიების ინგლისურენოვანი აბსტრაქტების რედაქტირებას.

13. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს უნივერსიტეტის მიერ დაარსებული სამეცნიერო ჟურნალის რეფერირების პროცედურებს ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემამდე. ამ მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს სტატიები, რეცენზიები და მათ საფუძველზე სტატიების გამოქვეყნების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები და სხვა რელევანტური მასალა.

14. წარმოდგენილი მასალის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს დასკვნას ჟურნალის პროცედურების დაცვის შესახებ და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. მიღებული დასკვნის საფუძველზე აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ჟურნალის გამოცემის შესახებ.

15. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემდგომი შემოწმებები განხორციელდება გარკვეული პერიოდულობით.

16. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ჟურნალი იბეჭდება უნივერსიტეტის გამომცემლობაში, დაცული უნდა იყოს გამომცემლობის მიერ დადგენილი შესაბამისი ტექნიკური პირობები. ჟურნალის თითოეულ ნომერს უნდა ჰქონდეს მითითებული შესაბამისი რეკვიზიტები, მათ შორის ნომერი (საჭიროების შემთხვევაში - გამოცემა) და თარიღი.

17. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაარსებული სამეცნიერო ჟურნალი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად აქვს მინიჭებული უნივერსიტეტის სახელი და ლოგო, შეიძლება დაიბეჭდოს სხვა გამომცემლობაში.

18. ამ წესის ძალაში შესვლისთანავე გაუქმდეს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 24 ოქტომბრის No24-ე ოქმით დამკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების წესი“.